



№ 52 1916 წელ. მემთხმეფასი
 კვირა ძრახტომ 25 მამოცემიისა 15 კ.

მიიღება ხელის მოწრა
 დაწვრილებით იხ. მე-16-ე გვ.



† ნინო კონსტავანეს ასული საყვარელიძე
 (იხ. მამე ნომერში წერილი 'ხელოვნების დანაკლისი')

შ. ნაარსი

- 1, ივ. გომარაული — ქრისტეს შობა . . . 2
- 2, ხ. ვარდოშვილი — გვ. ვინ მასთუფის! 4
- 3, ლ. ძიმიტური — სეუდას ჭანგები წაქცეული
 მუხა "
- 4, პარ. ენ. გოთუა — შატრა წერილები . . . 5
- 5, დავ. კილოხანიძე — უკანასკნელი ნატურა .
- 6, გუგული — ანაჲი 6
- 7, ვახო ურუშაძე — აბა ნუ მასტეო ქალს? —
 (გურული სტენა) 7
- 9, შაზირა — სამღერა 8
- 10, იოსებ არიმათიელი — ხელოვნების დანაკ-
 ლისი ნ. სეუფარედიე "
- 11, ქნარი — ნუ სტირა 9
- 12, გრ. საქარიჭედელო — მოსე მწერალი . . . 4
- 13, ილიოვანი — ალექ. გარს. ჭგუჭავაძე (და-
 სისრული) 19
- 14, სახიობა, წვრილი ამბები 4

ქ რ ი ს ტ ე ს უ რ ბ ა

რაც უფრო ვითარდება მეცნიერული აზროვნება, მით უფრო იცვლება ძველი რწმენა ქრისტეს შობის შესახებ. მაგრამ ერთი რამ მუდამ უცვლელათ დარჩება: ქრისტე იყო უდიდესი, ღვთ ებრივი მასწავლებელი; თვისი სწავლა-მოძღვრება მან განამტკიცა საკუთარი ტანჯვით და ამიტომ ზიესო ტკბილი“-ს სახე მუდამ წარმტაცი, მუდამ მშვენიერი, მარად წომიხილავი იქნება საუკუნეთა მსვლელობაში.

ქრისტეს მოძღვრებას ორი მხარე აქვს: სარწმუნოებრივი და საზოგადოებრივი. ორივე ერთმანერთთან მჭიდროდ არის შეკავშირებული, მეორე პირველის ბუნებრივი დასკვნა.

რომაელთა, ელინთა სარწმუნოებრივმა წარმოდგენამ შექმნა მრავალი ღმერთი. რომაელთა ღმერთებისათვის რომაელები იყვნენ რჩეულნი; ელინთა ღმერთებისთვის—ელინნი. დანარჩენები წარმოადგენდნენ ბარბაროსებს.

ებრაელთა სარწმუნოებამ შექმნა ერთი ღმერთი—ეგოვა, მაგრამ ისიც უმთავრესათ ებრაელთა ღმერთია,—მისი რჩეული ხალხი ებრაელები არიან.

ამგვართ ძველმა კულტურამ წარმოშობა ეროვნული ღმერთები და რჩეული ერები.

სულ სხვაა ქრისტეს მოძღვრება. არსებობს მხოლოდ ერთი ღმერთი—მამა ყოველთა. არ არის არცა ელინნი, არც ებრაელი, არც ბარბაროსი,—ყველა შვილები არიან ერთი ღვთის და მამასადმე თანასწორნი.

სრული თანასწორობა, ძმობა და ერთობა როგორც ერთა შორის ისე აღაპიანთა შორის,—ი ბუნებრივი დასკვნა ქრისტეს მოძღვრებისა

როგორც გაითვალისწინებთ ძველ კულტურას და მას გვერდით დაუყენებთ ქრისტეს მოძღვრებას, თქვენს წინაშე გადიშლება დიდებული წარმტაცი, უკვლავი მოძღვრება, რომელიც ძირაწათ უარყოფს ძველ კულტურას.

რაზედ არის დაფუძნებული ძველი კულტურა? მონობაზე.

არ არის მონა, არ არის ბატონი, არ არის ებრაელი, არ არის ელინნი,—სულ ყველანი თანასწორნი არიან,— გვეუბნება ქრისტეს მოძღვრება,

ის არღვევს, ნიადაგს აცლის ძველ კულტურას.

ამიტომ ბრძოლა აუცილებელია.

და მართლაც ისტორია მოწამეა სასტიკი, შეუბრალებელი ბრძოლისა.

ბრძოლა იყო სასტიკი, საშინელი; ქრისტეს მოძღვრებამ საზოგადოდ გაიმარჯვა, მაგრამ გაიმარჯვა ნახევრად: ძლიერთა ამა ქვეყნისათა მიიღეს მისი სარწმუნოებრივი ნახევარი. საზოგადოებრივი კი უარყოფს.

მართალია, ქრისტეს მოძღვრებაში დიდი ალავი უკავია საიქაოს, მაგრამ საიქაოსთვის აღამიანი საიქაოს ეწაღება, საიქაოს დასამკვიდრებლათ კი ერთათ-ერთი გზა-სიყვარული და სრული თანასწორობა

ხშირათ გაიგონებთ: ქრისტეს მოძღვრება არის მოძღვრება სიყვარულისაო.

სრული ქვემარტებაა ქრისტეს მოძღვრება სიყვარულზეა დამყარებული. მამა ღმერთი არის ღმერთი სიყვარულისა. ამიტომ ის ყველას გვავალებს, ერთმანერთი შევიყვართ.

მაგრამ ცალიერ რწმენას თვინიერ სქმისა ქრისტე უარყოფს; საქმე კი სიყვარულიდან უნდა გამომდინარეობდეს: უნდა შევიყვართ ერთმანერთი ისე, რომ ერთი-მეორისათვის არასფერი არა გვშურდეს. აი ამგვარ მომქმედ და არა მკედარ, უძრავ სიყვარულს შედეგათ მოსდევს სრული თანასწორობა როგორც მღვთმარებოთ, ისე ქონებით.

ამიტომ ქრისტეს მოძღვრება არის ქადაგება მარტო სიყვარულისა კი არა, არამედ სიყვარულისა და თანასწორობისა.

განათლებული ევროპა თავის თავს ქრისტიანს უწოდებს.

ქრისტიანი ის კი არ არის ვისაც ქრისტეს მოძღვრება სწამს, არამედის, ვისაც სწამს და ამავე დროს კედც ასრულდეს მამა მოძღვრებას.

დღევანდელ ევროპას სწამს ქრისტე, მაგრამ მის მოძღვრებას კი არ ასრულდა: ქრის-

ტე ითხოვს სრულ თანასწორობას, დღეს კი საზოგადოებრივი ცხოვრება აგებულია უთანასწორობაზე, უსამართლობაზე, დაჩაგვრაზე, გაყვლეფაზე.

რა არის საჭირო ქრისტეს მოძღვრების სრული განხორციელებისათვის?

კლასობრივი ურთიერთობის გაუქმება და სრული თანასწორობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამგვარათ ქრისტეს მოძღვრების სრული განხორციელება აუცილებლათ ითხოვს სოციალიზმის განხორციელებას.

და როდესაც ეს უკანასკნელი გაიმარჯვებს, ეს იქნება სრული გამარჯვება ქრისტეს მოძღვრებისა.

ქრისტეს მოძღვრების სარწმუნოებრივ მხარეს დიდი და ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდა ძვილი კერპების დასამსხვრევათ. ქრისტეს მოძღვრების საზოგადოებრივი მხარე-კი გაქვავდა.

მას შემდეგ რაც მუშა ხალხი ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა, ამ მოძღვრების საზოგადოებრივ მხარეს ახალი ხანა დაუდგა. მუშა ხალხი ერთათ-ერთი კლასია, რომელიც ბუნებრივათ მიისწრაფვის დღევანდელი კლასობრივი წყობილების გარდაქმნისკენ და ამით გზას უკაფავს ქრისტეს მოძღვრების სრულ გამარჯვებას.

ვ. კ. მელიქი

ეჭ, ვინ მოსთვლის...

ჰყივის... ღმუის ქარიშხალი, გრგინავს მენი, ცა ზანზარებს ბრძოლის ველი აზუზუნდა, სასიკვდილოთ დაჰკრეს ზარებს...

ელავს ცეცხლი, ჰწივის ტყვია, მიწის მკერდს რწყავს სისხლის ღვარი, მებრძოლოთ ლეშით იფინება ტყე და ველი, მთა და ბარი!...

ოჰ... დაცა... გესმით? კნესის მსხვერპლი, გულ-მკერდ განგმირული, „მომეხმარეთ... ვაი დედა, მომეხმარეთ... გასკდა გული“...

ჰ, მეორე... ჰა, მესამე...

ეჭ, ვინ მოსთვლის ვინ სად კვდება? ეჭ, ვინ არის მიპასუხოს ძმა ძმას რისთვის ეომება?!..

ჰყივის, ღმუის ქარიშხალი, ზღვა ბობოქრობს, ცა ზანზარებს, და განცხროშის, შვების ნიშნად დემონი თავს დაგვხარხარებს!..

ხ. ვარდოშვილი

სევდის სტრიქონები

შ ა შ ც ე შ ლ ი მ შ ხ ა

სევდიან ფიქრთა განსაქარვებლად ტყეში ვიდოდი და მის სამშვენებრით ვსტკებოდი... დაქრილ გულს უკედავების წყაროდ ესაღბუნებოდა ფრინველთა ნაზი და მომჯადოებელი ქსიმღერა.

მხიარულათ დახტოდნენ ისინი ხიდან ხეზე და ერთმანერთს ესიყვარულებოდნენ... ელექსებოდნენ...

აი, იქ, კამკამა წყაროსთან ყელმოღერებული ირემი სდგას და თავისებურად ვალერსება თავის პაწია შვილს...

იქაჲ, მთის შეღმართზე, ამაყად გაიბრინა ლამაზმა შვილმა, მხიარულად დაიწივლა და მახლობელ გორაკს გადახედა, თითქო ამხანავს უხმობსო.

იქ კიდევ გრძნეულმა ბულბულმა შეიფრა ხილა და თავისი ციური ჰანგები უხვად გააბნია ჰაერში...

ოხ, რა კარგია აქ ცხოვრება .. რა კარგია...

აქ ყველაფერი მშვენებრია... აქ ყველა თავისუფალია .. ყველა ასე ბედნიერია... აღმონხდა გულიდან.

ტყის შუა გულში უცაბედათ ერთ მუხას წავაწყდი, რომელიც სანახევროდ წამოქცეულიყო.

ძირში მას უთვალავი ქია-მატლი და-
ხვეოდა და ტოტებზე კი დახტოდნენ მშვე-
ნიერი მალხაზი ჩიტები და რაღაცნაირათ ელუ-
რტულობდნენ...

აქა-იქ, ზოგიერთა ტოტზე ყვავილე-
ბიც გაშლილიყა.

გაჩნევი, თითქო თანდათან იშლებოდ-
ნენ...

თანდათან იბადებიდნენ ისანი ხის ყლორ-
ტებზე...

რამდენი ყვავილიც გაიშლება, იმდენი
ქია მტლი ჰყვდება! — მომესმა საიდგანდაც.

ნეტავი, როდის გაიშლება იან ყველა ტო-
ტებზე ყვავილება... ნეტავი, როდის დაიხი-
ცვნიან ქია-მატლები!..

როდის გამთელდება მუხა... ნეტავი რო-
დის... ნეტავი როდის?... ლ. ძიძიგური.

უკანასკნელი ნატვრა

საშობა აკვარელი

შობა მოახლოებულია... ზამთარს მეგობ-
რულად ხელი მიცია უსაქმურ ძილისათვის.
სტკებმა მის თბილ კალთაში და არა ჰფიქ-
რობს გამოღვიძებას. დაეწყებია, სჩანს, ცნობა.
მიხილს, ვისთვის მოაქვს სიცოცხლე, ვის
ბნელ წიაღს აშუქებს ბედნიერების სინათლით...

საბრალოა ხნიერი ტყე, ჩვეულებრივ ამა-
ყად რო ამობურცვია გულ-ჰკერდი ეკლიან
ჯავშნითა; გატრეცილა, ძლივს და დაუფა-
რავს თავი ძინძებით და მოუთმენლად ელის
ახალს, ღირსეულ სამოსელსა. მის ეკლებს დაუ-
კარგავს თვისი ვერცხლისებური ბრჭყვალის,
და ბერიკაცივით მოხრილან... მოდი, რას
ელი, სულიკო! დაეშურე! არ დაივიწყო წამო-
იყოლო შენ სპეტაკი, ტურფა თანამზავრიც!

მოს წყენ და ხანგრძლივ ლოდინში ტყეს
წასაგლმე.

შეარყა ტყე მოქანცვისაგან კი არა მუხ-
თალ ბედს აღუზრდია მისთვის სიმტკიცე;
არა, მას სახეზე გაუქროლა ქარმა, ზამთრის
სალხინო მოსვლის მოამბემ. ტყეც მადლობას
უხდას მსუბჰის თავის დახრათ და წყნარ სიტ-
ყვით...

მოვიდნენ მომხიბლავნი ტოლნი... ტყე
მხიარულობს—სასურველი სტუმრები სწევია

და სიამოვნებით ჩაუხუტებია გულში გულთად
მასპინძლობისათვის სპეტაკი ყარიბი უძღვის
სადღესასწაულო საჩუქრად თეთრ სამოსელს.
ტყე ბედნიერია და ყმაწვილება ელის სის-
წრაფით. გამოცოცხლდნენ აგრეთვე ნორჩი
ნაძვებიც — გამოუცდელებს, კიდევ გადაეწყვი-
ტათ, რომ დაღუბვა აუკლებელია, და მომზა-
დებულიყვენ სიკვდილის დასახვიდრად — გა-
ხარებულ-გაოცებულეს გაუჩაღებიათ ახლა
ცხარე ბაასი, კეკოლუცად ირხვიან და ძალი-
ობენ გამოაღვიძონ იქვე მდგომარე ვნტის და
მაქალოს ხეები. ამაოა, ღრმად ჩაძინებიათ:
უღარდვლად დრწმუნებულან მოსავალ გამო-
ღვიძებაში გაზაფხულთან ერთად და წყნარად
მასცემიან მღვეისებურ ძალსა. ან რატომ არ
უნდა გამოიღვიძონ გულდაჯერებელმა ტიალ
—ოხრებმა და დაინახონ, რომ ნაძვებიც შე-
ძლება ბედნიერები იყენ, უფრო მეტიც; ამათ
ხომ მთელ წელიწადს აცვიათ, თუმცა, მართალია
სამოსელი, ზაფხულობით ცოტათი უცვდებათ?!
მაგრამ შეურიტ საქსე ტიტველ მახინჯებს არ
უნდათ მათი ბედნიერების ნახვა. მიწრაფება
მათ მთელ მოძულბულ ტომის მოსასპობად
იმდენად სახარელია, რამე ამგობინებს თვით
დედობრივ გრძნობასაც: უწყალოდ მოუშორე-
ბიათ გულ-მკერდისათვის საკუთარი ბავშვები
და გადაუყრიათ მოქრთამე აღმინისთვის...
უგემურ ნაყოფს აღმინის გული მოუგია
და გაუხდია შემწედ ბოროტმოქმედისა...
ის ცბიერი ნაძვი განა მასვე არა სჭირია საშო-
ბავოდ ბედნიერ ბაღების გასართობათ დღე-
სასწაულებში?! გულგრილად ტლანქ ხელით
მისდგომია და სჭრის მწვანე კეკლუცებს, ართ-
მევს სიცოცხლეს მაშინ, როცა თვით დაუ-
ძინებელ სიკვდილსაც კი მოუშორები მათთვის
თავის წავი აჩრდილი...

იღუბებიან ახალგაზრდა ნაძვები, მაგრამ
მომავდავები უტოვებენ დაობლებულ დებს
უკანასკნელ ანდერძს: შურისძიებას! დებიც
თავის სუსტ ღონითა წმინდათ ასრულებენ
დაღუბულთა ნებას...

ქანც-გაწყვეტილი ზაფხულის პაპანა-
ქებისაგან აღმინის ამაოდ ეძებს საგრილობელ
ჩრდილს ეკლიან ხეთა სამეფოში; კინკრიაჟს,
მსუბჰუქად თავზედ რომ ცემა გულუბრყვილო
მაოცნებებს, არა ერთხელ შეუშლია ხელი

იმის ტკბილ თვლემის, მყუდრო განმარტოების და ამაღლებელ ფიქრებისათვის; ხოლო ფოთლიან მოცილებებს გარს შემოხვევიან მკიდროდ განუწყვეტელ რგოლად და მოუსპიათ მათთვის რაღობა და გამაბედნიერებელი სინათლე.

მ. ჯ. ხოსროვიძე

პატარა წერილები

I

აგერ შესრულდა ორმოცი წელი, რაც ჩვენში დაიწყო ერობის შემოღების შესახებ ღალადი და ხვეწნა-მუდარა.

ორმოცი წელი რუსის მთავრობა ჰპირდებოდა საქართველოს, საერობო თვითმართველობას მოგანიჭებო, მაგრამ ამაო იყო ეს დაპირება

ორმოცი წელი ჩვენი ხალხი დიდის იმედით ჩრდილოეთისკენ იყურებოდა, იქიდან მოვლოდა თვითმმართველობის აღდგენას; მაგრამ ცხოვრების სინამდვილემ აშკარად ჰყო, რომ ამაო იყო ეს მოლოდინი.

ამაო იყო იმიტომ, რომ მმართველი ბიუროკრატია არას დროს არ თანაუგრძნობდა თვითმმართველობის შემოღებას საზოგადოთ რუსეთში და განსაკუთრებით კი განაპირა ქვეყნებში.

ის ემორჩილებოდა მხოლოდ ძალას და ხალხის მესვეურთა თხოვნა-განმარტებას მუდამ ქამს აბუჩად იგდებდა.

ასე იყო წინეთ, ასე არის ახლაც

მხოლოდ უკანაქნელ წლებში, როდესაც ხალხის მღელვარებამ სტიქიური ხასიათი მიიღო, ეს საკითხიც სხვა ნიადაგზე გადავიდა, ბიუროკრატიაც თითქმის მოღობა; ერობის მომხრეობა დაიჩემა და თვით ხალხს მიმართა:

— თქვენ თითონ გამოსთქვით აზრი, რანაირი ერობა გსურთო.

ყველას კარგათ ახსოვს დიდმნიშვნელოვანი კრებები, რომელიც გრაფ ვორონცოვის დროს იმართებოდა მისი ბრძანებით საქართველოს ყველა კუთხეებში.

ხალხს მართლა ეგონა, ერობას შემოიღებნო, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ეს მხოლოდ თვალთმაქცობა იყო ჩვენს დასაწყენარებად.

რამდენიმე წლის შემდეგ კიდევ დაინიშნა ახალი კრებები და ახალი კომისიები. კიდევ იმედო და კიდევ მოტყუება შვიდჯერ მაინც ვორონცოვის დროს იყო დანაშნული ასეთი თათბირი, და სამჯერ მეც მონაწილეობას ვღებულობდი ამ თათბირში.

საკითხი სამწუხაროდ ისევ სატრფიალო საგნად დარჩა.

მე ვფიქრობდი და ახლაც მგონია, რომ თვით ვორონცოვი-დაშკოვი პირადათ არ იყო ერობის წინამძღვენი. დიდი ძლიერებაც ჰქონდა მას, მაგრამ ბიუროკრატის შექანისში მასზედ უძლიერესი იყო. იგი მთელის არსებით ძველებურად უარჰყოფდა თვითმმართველობის განხორციელებას და ჩვენი ქვეყანაც, რა თქმა უნდა, ერობას ვერ ეღიარებოდა.

დღეა უზიგალითო ომის განსაცდელი.

ახალმა ნამესტნიკმა კვლავ აღძრა ერობის საკითხი და კვლავ გამართა ახალი თათბირი.

ამ ერთ წელში უკვე ორჯერ იყო ასეთი თათბირი: ერთხელ აპრილში და მეორეჯერ ნოემბერ დეკემბერში.

პირველ თათბირში მეც მივიღე მონაწილეობა. ჩემის თვალით ვიხილე და გულის ყურით ვიკრძენი, რომ ახალი ნამესტნიკი მართლაც მოწადინებულია ჩვენში ერობა განხორციელოს.

ის ალტაცებით შესტრფოდა იმ დროს, როდესაც თვითმმართველობა განწესდებოდა მთელს ქვეყანაში, აღფრთოვანებით შეჰხაროდა იმ დასტურს, რომელიც ხელმწიფე იმპერატორისგან მიიღო და გულ-წრფელ სხარულს ეწეოდა ჩვენთან ერთად.

მალე, მალე იქნება ერობაო.

შეუდგენ კანონპროექტს დაწვრილებით შეგუშნავებს. რვა თვე სწარმოებდა ეს მუშაობა მეორე თათბირმა კიდევ განახილა ეს კანონპროექტი და გახეთქებამაც ყველას აუწყეს, რომ ერობა გაზაფხულზე განხორციელდებოდა.

ბევრმა კიდევ ირწმუნა ეს ამბავი, მით უფრო, რომ ამ საკითხზე დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ.

ავი აქის, თუ კარგი, კაცისი ის ნთავრობამ კანონპროექტი მაინც შეიმუშავა. დღით დღიერი მფარველიც ჰყავს ამ კანონპროექტს, მაგრამ, ჩემის ღრმა რწმენით, ჯერ კიდევ ჩვენ ძლიერ შორსა ვართ ერობისაგან.

ღიდის მწუხარებით და სულის კვეთებით იძულებული ვარ გავფანტო უნიადაგო ჩვენი ოცნება

რუსეთის მმართველი ბიუროკრატია ჩვენში ერობას ან სულ არ შემოიღებს, ან სხვა ბულ საზოგადო პირობებში ვერც შემოიღებს, და თუ შემოიღო, ახლო მომავალში მაინც (ესე იგი რამოდენიმე წელში) ჩვენ ვერ ვეღირსებით თვითმმართველობის განხორციელებას.

განვმარტოთ ამის მიზეზები...

პართენ გოთუა

პ რ ა ვ ი

— შეიღო, ქვეყანას დააქვს არაფერი მატარებელით ქალაქში და შენ რა გახდი, რომ ერთხელ ვერ გაჭბოდე წადება. უფულ კვირა დადინან აქ და ერთხელ არ წავიდა მადლობა დმურთს ბეგრი გააქვს. წაიდე, შეიღო, დილაობით თათო ქიქის დაღუგა ძლიერ კარვ გუნებაზე დაგაყენებს, — მითხრა დედაჩემმა, როდესაც ამას წინედ სოფლიდან თბილისს სამსახურში გბრუნდებოდი.

— დედა, ხომ იცო, მე არ შემიძლიან ეშვკობა. უველა ნათლად შემატეობს, რომ არაფერი მიმაქვს და ხათბადაში გავებმეობა.

— მშშმარა ხარ, მხდადი, ჩემო შეიღო!

ბევრა ხვეწინისა და ჩხუბის შემდეგ დაფთხხმდი. ორი ბოთლი გამიფსეს არეით და შომცეს. ვამჯობინე ჟიბით წადება, რადგან თავსე რკინის გზის მისეღის ქეღა მეხურა და არუას ძებნაში ჩემი ტანსაცმელის განხრეკას ვერვინ გაჭბოდავდა.

ჩავილაგე შარვლის ჟიბებში არეით სავსე ბოთლები: ერთი მარჯვენა და მეორე მარცხენა ჟიბეში, გამოკეპმედიობე მშობლებს და ვსცადე გამკზაზრება სადგურისკენი ნათლად დაფრწმუნდი, რომ უნდა მეუღლო გუს ნაბიჯით და თანაც მეკატუნა, რადგან გაშეშებული ბოთლები სისწო-

რით ვერ შეგკეფენებდნენ ფეხებს. ჯოხა ჰქენით მიგაღწიე სადგურს.

— აა, გაშარჯეება, ჩემო ვანო, — მომესალმა შეგობანი ილიკო.

— გაგიმარჯოს, ილიკოჯან.

— ვანო, ეგ რა დაგმართია? რაღა კატეობ?

— ეჭ, შენ რომ ჩემი ამბავი რაიგო!..

— რა დაგეშართა?

— კაცო, ამას წინედ დამაპტივეს შეგობრებმა მტყუნთას. ვიფხსშმეთ, ცოტა შეეჭიფიანდით და შემდეგ, აბა შენ წარმოიდგინე ჩვენი სისუღედე, დამის თანმეტ საათზე მტყვარში ვიბანავეთ. უველა მშგლობით კადურჩა. ამ ხითაას ჩემს მეტი. ფეხებში ქარება ამივარდა, ორი კვირა ლოგინად ჩავრდი; ესღა კი ვკატეობ.

— საბრალო!.. მე კარგი წამალი გიცი ქარებისა, შენ მხოლოდ მითხარავადმეოფობის მსგულეობას.

— რა უნდა გითხრა!.. ავდეგები თუ არა დილასზე და დამკრავს ქარები ხელებში, ხელებიდან — თავში, თავიდან — სურგში, სურგიდან — წელში, წელიდან — ფეხებში უკანსკელად გიღოს დაბინავდება მთელი დღის განმავლობაში და უბერავს აქედან!

— რა უბერავს!

— ქარები...!

— როგო თუ უბერავს!

— არა! კი არ უბერავს; მტყანავს.. შე სხვა სიტუგა ვიხმარე.

— ქარების უბარა წამალია ბზიკო! დამჭირე ბზიკი და დამსვი იმ ადგილზე, სადც გტყნავს. რიგინათ რომ დატკბენს, შემდეგ სხვა ბზიკი დაისვი... უებარა...!

მე მადლობა გადაუხადე უბარ რეცეპტის სწავლებსათვის და გაგემართე დასაჯდომით. ჩემთვის სკამზე დაჯდომის ისეთივე მოუხერხებელი უოფილიყო, როგორც ვარსკვლავების ტიდან ჩამოკრეფა!.. ბოთლები მასეუენებას არ აძლეოდნენ ჩემს ბარძაყებს.

— გამარჯობა ვანიჩა!

— გაგიმარჯოს, ვარდენ!

— კაცო რა არის ეგ რომ გამოგებროა ბარძაუიდან?

— ჭა! არ დადლო ხელი ვარდენჯან! მტყიფა!

— რა დაგმართია?

— ზოზინიაზე დამტკრეს ორივე ბარძაში და შესვეული შაქეს...

— კანო, როგორ მოხდა, რომ ზოზინიაზე ამოჭყვავ თავი? ამ კვირას სომ ჭანსადად იყავ?

— შერე ჩა მე ზოზინია თბილისში შეტრია! ერეგნის მოედანზე, ტრამვაის სადგურთან! ჩემმა მოწინააღმდეგე—წიბვირებმა იერიშით მოიტანეს ჭერ ჩემს ჭიბეზე და იქნომ ახაფერო დასვდათ, შერე თვით ჩემზე.

— საბრალო! ძლიერ ხარ დატრელი?

— ძალი დაზიანებულია.

— შერე როგორ ახერხებ სიარულს?

— ვწვალახ, ჩემო ვარდო, ძლიერ ვწვალახ.

ვაგანში რომ აგული და დაგრწმენდი, რომ სკამზე ჩამოჯდომის მოუხერხებელი იყო, ვარჩიე ისევე მადლა თაროსზე წამოწვალა. გულშემატკივარსა დახმარებით ავსახინაღდი და წამოეწიქ...

დადაშდა...

ჩამძინებოდა...

უცხად ჩემი თავი გივრძენ ანა ვაგანში, არამედ სადაც ცხელ ქვეყანაში ზღვის პირად.. მზე საშინლად იცხუნებოდა... მე გავლოფიანდი... გაღვინტი ზღვაში... ძილში გივრძენ რაღაც ტიფილები. უცხად გავიმეღვიან და... ნათლად გივრძენ, რომ სიზმარში ზღვაში ბანაობა ნახე რად სინამდვილედ გადაქცეულიყო. ვბანაობდი არაქვეშ ძილში გადავბრუნებულაფე და ბოთლები დამსხვრეულიყო... მე წამსვე გამოვიფხიზდი. ჩემი ტვინი ენერგიულად ამუშავდა... თვალ წინ წარმომიდგა არვის ტარების შედეგები: ბნელი სკანონი, სიმა ათასი მანეთი ჭარბმა, სამსახურადან დახსენა. ბოთლის ნამსხვრეებისაგან დასერილი ტანი უფრო და უფრო მათხიზლებდა... მივიხედამოვიხედე და დავიანხე, რომ ვეველას თვალები მიეპაპა და სიამოვნებით ვნოსაფა არაფის არამატს. ეფვის სისწრაფით გავაღე ფანჯარა და გადავხტი მატარებლიდან...

გარსა და სკრის შუა მინდორში დავბინავდი იმ დამეს...

ცოდა...

გუგული.



აბა, ნუ მისცემთ ქალს?!

(გურული სტენა)

— გავარდა თოფი... ატყდა თათრის და რუსის ჩხუბი... ხმა მოვიდა გურიაში, თავადი ერისთავი დრუტინას აყენებლო, მოგეცა გურიელის წყალობა, დატრიალდა დიდი და პატარა... ვისაც ჩოლოქის ომი გოუგონია და მაშინდელი ჩაჯვარიანებულ გამდიდრებულ-ჩასტკებული უნახავს, ახლა სახლში რა გააჩერე და... შეინძრა მთელი სოფელი, ატრიადა და აწრიალდა ვასახოვარი გოგუები...

სამსონა ვასაძემ, ქე იყო კაი ბიჭი გურული, არც აცივა და არც აცხელა, იშოვა საცხა მგზობლისგან ორი გროში და ფხევა მოადინა ქუთეისის ქალაქს... მიართვა თხოვნა მარშალს... დრუტინის კამანდირმა აათვლიერჩათვლიერა, მიხრა, რომ კაი ბიჭი იყო გურული და მიიღო, ჯამაგირიც დოუნიშნეს...

კაი ხნის „რას-ღვას“ ძახილის შემდეგ დააქანეს ჯარი ართვინისკენ... ახლა ქე შეექნა ცოტა გულის ფანცქალი, ტაკა-ტუკა და კანკალი, ასე ეგონა ქუთეისის ბუღვარში იქნებოდა კბილის საჩიქნელად. გაჩერებული...

გადიარეს: დელე-ტყე, გორები და გორაკები... ცოტა კიდე და მიაწია ჯარმა პოზიციებს... გამოჩნდა მტერი... ზამთარია... ხან წვიმს, ხან თოვს, ხან ხოშკელავს... აკანკალდა სამსონა, არ იყო ჩვეული აზისანა სუსხს, საწყალი ბიჭი.. ერთხელ, ქრისტიანას, იმ შეჩვენებულ-გურის თვალს, პაიშანი დოუნიშნა მოდი მნახეს მინდორის თავში. რავარც გაწვიმა და ამ-გარდა დასავლეთის ქარი, მოკურცხლა, ბინისკენ ქნა თავი, სულ დავიწყდა სიყვარული—ფიცო-მტკიცო... ახლა, ახლა ძალაუნებურად სულ კრიმანქულით მიდიდა...

გავარდა თოფი... რფეთქა ზარბაზნმა... აღარ იქნა სამსონის გაჩერება... ვერ დაიკავეს ბიჭი, შურდულივით მიდის, ვინ წინ და ვინ უკან... ატყდა საშინელი კორიანტლი... ქახა-ქუხი, ტყვიის ზუზუნი, ბომბების ხმა, ტყვიის მტყორცნელის გრილი და ცეცხლის წვიმა... წასული რევოლუტია მოსგონი არ იყო ამასთან... გარბის ვინ სადა და ვინ სა-

ხელოვნების დანაკლისი

ით. სიმინდის კალოსავით ყრია მკვდრები. აფრიალდა ჩვენი დროშა, მირბის მტერი. როგორც იყო გვიგანა სამსონამ ერთი ხუთი კაცი განზე და მიადახა:

— არ გოუშვა, კა მავა... გაჩერდით, თუ სიკვდილი არ გინდათ...

მირბის მისდევს უკან, ისერიან ისინი — ესვრის ესეც. ბევრი სირბილის შემდეგ დამორჩილდა ორი... დაბაწრა და მიართვა დრუჟინის უფროსს... თითონაც ქე იყო დაჭრილი ცოტათი თითის წვერში... უფროსმა მადლობა გამოუცხადა და წარადგინა სისხლის მენდალ ჯვარზე. შეწყდი ოჰი... ჩვენ მხარეს ცოტა მშვიდობიანობა ჩამოვარდა... ეხლა ჩამოვიდა ეს ხელმწიფის დაჯილდოებული კაცი გურიაში და აბა, თუ კაი ბიჭი ხარ, ნუ მისცემ... კაკალა ნაკაშიძის ქალს... ცოლად!..
ვასო ურუშაძე.

სივლერა

(„არა, არა, კარგოჯან“-ის ხმაზე)
ვინც ქვეყანა არია,
მისი სული მკვდარია,
სისხლის ზღვათა ქცეულა,
კრემლის ნიავ-ღვარია!
არ ვიცი, თუ რისთვისა.
ვისი რა მმართვეს ვისა?
ვინც რო იყო მიზეზი,
გაუწყურეს პირი ღვთისა.
ავადმყოფი ქვეყანა
ამას ელოდა განა!
შვილი მშობელთ აშორეს,
ძმა არ არის ძმასთანა!
კაცები სქამენ კაცებს,
კაცი კაცს ლუკმას სტაცებს,
მამაცები გაწყიტეს,
საქმე დარჩათ დიაცებს.
ჩვენ მოგვადგეს უფიცი,
ამას არ უნდა ფიცი;
სახლის მომვლელად დარჩნენ
კოჭლი, ბრმა, მოხუცი.
მკლავს ეს დარდი და ჭირი,
ფიქრობ, ვნადლოვ და ვსტირი
მოღით და ამილაგმეთ
პაზირს ენა და პირი!

ქიათურის გზა, 1916 წ.

პაზირა



ჩვენმა ხელოვნებამ ამ თვეში ჯერ კიდევ ნორჩი, მაგრამ თვალსაჩინო განძი დაკარგა. გარდაიცვალა ახალგაზდა მომღერალი ქალი, კოლორატურული სოპრანო, ნინო კონსტანტინე საყვარელიძის ასული.

იგი დაიბადა სოფ. საქარში, შორაპნის მაზრა. ქუთაისის გიმნაზიაში კურსის შესრულების შემდეგ წავიდა მოსკოვს, სადაც მუსიკას სწავლობდა პირველ სახემ. საათობ. თავმჯდომარის მეფელის, მუსიკის პროფესორ ქალის მ. ნ. მურომცევის ხელმძღვანელობით. ომის დაწყებისას თბილისის ქართ. საფილ. სკოლაში მცადინეობდა და ერთ საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა. სწავლის დროსვე მონაწილეობდა კონცერტებში (სხვათა შორის

† ნინო კონსტანტინე ასული საყვარელიძე. კ. ფოცხვერაშვილთან ერთად) და მსაქენელნი მუდამ ალტაცებაში მოჰყავდა. გრამოფონის ფირფიტებზე გადაღებულია მისი ნამღერია: „მშვენიერო შენ გეტრფი“ „ახ მარგალიტოვ“ „ორთავ თვალის სინათლე“ „კრელი პეპელავ“ „ავადა ვარ“ „მოდო მნახე“ „ჭირიმი, ჭირიმი“ „იავ-ნანა!“ „სწრაფია ვით ტალღა“ „ჩიტო ნუ ფრინავ!“ და სხვა. დარჩა დღიური და კერძო წერილები, რომელშიაც ბევრი თავისებური აზრი აქვს გამოთქმული მუსიკის შესახებ. ჯერ 21 წლის თუ იქნებოდა, დიდს იმედს იძლეოდა, მაგრამ უკუჩვენებმა სენმა — ქლექსა ნიჭის გაფურჩქვნა აღარ აცალა: გარდაიცვალა ქრისტეშობისთვის 13, ქუთაისში ხოლო 18 სამშობლო სოფ. საქარაში დაკრძალეს. დაესწრო დიდალი ხალხი და გულს რკვილით დაიტრა ეს უდროო დანაკარგი. სამარგისთან რავდენიმე სიტყვაც ითქვა. ნათელი იყო! ხსოვნა მისი...
იოსებ არჩიშათილია.



არსენ წათლიძე

დამსასურებელი მასწავლებელი და ქართ. საქვ. საზ.ის სკოლეის გამგე. მისი ავადმყოფობის გამო.

ნუ სტირი

ნუ სტირი ლამაზო, ნუ სტირი კმარა!
შეიშრე ცრემლები, შეიშრე ჩქარა!

შორს ჩვენგან დამწველი სევდა, ნაღველი
კმარა რაც წვეუ წვეთად ცრემლები ვღვარეთ!

იმედს სხივები მოსჩანს ამ ქვეყნად, --
ნუ სტირი, ძვირფასო, ნუ სტირი მწარეთ!..

ქნარი

მოსე მწერალი

პიესა 4 მოქ. სოფლის ცხოვრებიდან
ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული გრ. საქართველოს მაიორ

V

ივანივე და მწერალი.

ბაბ. (მიუგებებს) მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით

მწერალი. (ყველას თავს უკრავს. უკმაღის თქრუა).

ბაბ. (მწერალს სკამს მიართმევს) დაბრძანდით, ბატონო!

მწერ. იცით რა, ამოთ ჩაგველის თათარი. ბევრი ვიფიქრე, მაგრამ არა უხერხდება რა ამ საქმეს. (ფეხებს თამაშით გააფლგა-მოაფლგის).

ბაბ. შენ ხელს კაცის მკვლელობა დაუბრუნებია ციმბირიდან და მე რა უბედური შევიქენი ამასთანა, რომ ჩემ საქმეს არაფერი უხერხდება.

მწერ. (წაფიქრდება. გააფლგამოაფლგის) არა, არა, მოხერხდება. მოვახერხებ როგორც იქნება. მღვდელი ხომ მოვა... იქნებ როგორმე მოვახერხო...

ბაბ. კი ბატონო გიხსენებთ, დილა აღრიანა გავგზავნე მასთან ჩემი ოქრუა... ძალიან გულკეთილია, ბატონო, ჩვენი მღვდელი იმის იმედი ძალიან მაქვს ამ საქმეში.

ოქრ. მღვდელი რეიზა გქირია?

მწერ. (მიხსენდება) აქყველა ჩვენიანები ვართ. აი რისთვის გინდა მღვდელი: უნდა გავაკეთოთ მოწმობა, ვითომ სოფონა

გერია ბაბაღესი და არ ამ სი ნაშობი, რომ ბაბაღეს მარტო შენ ჰყვებარ ერთად ერთი შეილი და შენს გარდა სხვა მარჩენალი არავინ მოგზობება ამ სიერის დროს ასეთ ნოწმობას რომ წარადგენ გაგანთავისუფლებენ.

ბაბ. ვაიმე რა ბრძანეთ აი საშინელი. უფროსი შეილი გერათ უნდა დავიწერო?!

სოფ. მერე ეგ რომ ტყუილი იქნება? ეგ ბატონო „ფალშივი“ საქმე იქნება?

ოქრ. ბატონო, არ დავიღუპოთ არაფერი „ბაბა...“

მწერ. (გაჯავრებული აწვევტინებს.) თქვე დალოცვილო, თქვენ თუ იცოდით კანონები, მე რაღათ მომიყვანეთ? გააკეთეთ, ისე როგორც გნებავთ და თუ მკითხავთ, კიდევ უნდა დამიჯეროთ. კაცო სამსახურში დავბერდი. და თქვენ უნდა მასწავლოთ კანონები, ან როგორ უნდა საქმის გაკეთება?

ბაბ. ნუ კუქობ შენი მუხლის ქირიმე, ფული ვიშოვნე, ხელში მაქვს.

მწერ. თუ საქმე გავიკეთო ჩვენ, რომ სალდათობა აგცდეს, ეს არის და თუ არა — თქვენი ფული ხელში გაქვთ, გროშსაც არ წავიღებ ოქრუს განთავისუფლებამდე. ოღონდ ეს არის, რომ თქვენ არ დამიწყოთ აგი და აგიო; მე თქვენზე უფრო ვატი კანონები.

სოფ. ათანასე მღვდელი რომ არ დავიკრავს ბექედს გერობაზე. იგი იმისთანა

პირმართალი მღვდელია, რომ არაფრის გულისა არ იზ.მს მიგას.

მწერ. ათანასე მღვდელი კეთილი მადლიანი კაცია, არ იტყვის უარს! ან რატომ უნდა სთქვას? მას არაფერი დაუშავდება და თქვენთვის კი დიდი შემწეობა იქნება. ან მაინც რა საჭიროა გაუმხილოთ ათანასეს, რომ სოფონა გერათ არის დაწერილიო. ათანასემ ხომ ხელნაწერის კითხვა არ იცის. თქვენ მისი ჯავრი ნუ გაქვთ, მე ვიცი და მღვდელმა, მასთან მე მოვახერხებ საქმეს.

ოქრ. შენი ჰირიმე, ისეთი საქმე არ გააკეთო, რომ ჩემი გულია სხვაი ჩავარდეს „ხლაფორთში“. გნებავს გამიწყერი, ამას სკვდელი მიჩვენეია.

მწერ. (თავმოწონეთ) აბა, მითხარით ჩემი გაკეთებული საქმე როდის გამოდგარა ურიგო. მართალია ყოველთვის მიჩივიან, მაგრამ ხომ ხელდავ მე ვჯობნი ყოველთვის.

ბაბ. ეხ, ბატონო, ჩვენ ხალხს რომ უყურო...

მწერ. მამასახლისიც და კეთილ სინდისიერიც მალე მოვა! ჩემთან მოდიოდენ, მაგრამ მე ცხენით ვუყავი და გამოვასწარი, მამასახლისთან ამის შესახებ არაფერი წაგვდეს.

ბაბ. თუ ძან სახიფათო საქმეა, შენი ჰირიმე, დავანებოთ თავი, იქნებ სხვაფრივ რამე მოხერხდეს... ხომ იცი, ბატონო, ჩვენი მტერი ბაგრატას ამბავი, იმან რომ გვიგოს მაშინათვე „გვიდანოსებს“ და ყველაი დევილუბებით.

მწერ. ბაგრატა სიდან გვიგებს ამ ამბავს, ეს გეცოდინებათ თქვენ და მე; თქვენ ხომ არ დეილუბავთ თქვენ თავს?

სოფ. არ ვიცი, ბატონო, ამისთანა დიდ საქმის დამალვა ძალიან ძნელია.

მწერ. თქვენ ჯავრი ნუ გაქვთ (ქალაქებს ამოიღებს.) აბა მზათ არის ვადასწერეთ! (აძლევს სოფონას).

სოფ. ამას რას ბრძანებთ, შენ დაწერილ წერილს კიდე ვადაწერა უნდა??

მწერ. (გაჯავრებით) ჰო, ვადაწერა უნდა; რომ არ უნდოდეს ხომ არც გეტყვი.

სოფ. მე უკართულად დაწერილი ვარგა?
მწერ. შენ ვადაწერე და სხვა მე ვიცი.

(გაიფლ-გამოიფლის გაჯავრებული) ჯვარს მაცვით, ერთ სიტყვით, ჯვარს კაცო მე უფრო არ ვიცი რაც უნდა და რაც არ ვარგა?

სოფონა (გამოართმევს და დაუწევებს წერას).

ბაბ. (თებრას) შენ წადი და ვახშმის საქმეს შეუდექი. (გადაის)

VI

იგინიფე, მამასახლისი და კეთილსინდისიერი.

მამასახ. (ჯერ მწერადს ჩამოართმევს ხელს, მერე დანახეხებს თქრუას) კაცო, რა სულ შენ და ბაგრატას საჩივარია? ეხლა გზაში შემხვდა, კანცელარიაში მოდიოდა ჩემთან საჩივლელოდ. „გზაში დამხვდა და ურემს მართმეველაო“.

ბაბ. ტყუილი ბატონო, დახეთ (ხელს უხგუნებს) ამის თავს, ორივე მამა-შვილს უცემიათ და ჩვენი ლობეც დაუღვევიათ.

ოქრ. მამასახლისო, სადაური სამართალია. მე მცემს, ლობე ჩემი დაარღვიეს, ყანა ჩემი გააოხრეს და კიდე მე მიკუტდებით და მამტყუნებთ. (სოფონა გადაწერილ ქალაქდს ძლევს მწერადს, უნდა რადაც უთხრას მამასახლისს, ამ დროს შემოდის მღვდელი)

VII

იგინიფე და მღვდელი.

ათანასე მღვდელი (უჯავრებით ყველანა დგებან, პაბაღე ხელსე ემთხვევა. მწერადი ხელს აართმევს).

ბაბ. (სკამს უდგამს) დაბანდით მამაო, შევაწუხებთ, მაგრამ რა ვქნათ. თვითონ იცი, მამაო ათანასე, თუ რა გაჭირებით მყავს ვახშმილი ჩემი სოფონაი და ოქრუაი.

ათანასე. რას ამბობ ბაბაღე, რამ შემაწუხა, ხომ იცი თავს არ დევიზოგავ, თუ კი რითიმე შემოძლია მოვებმარო ოქრუს.

სოფ. ჩვენც ვგრე ვვაქვს მამაო, თქვენი იმედი. თუ მშვიდობა იქნა, ვადევიხდით თქვენ პატივისცემას.

მწერ. სხვა მამაო, დრამა ხომ სულ მიიღეთ ამ წლის. თუ არ მიგიღიათ, მითხარით და სულ მათრახის ცემით ავადებინებ მამასახლისს.

ათან. რას ბრძანებთ?! მე არასოდეს არ მიმართავს დრამის ასაღებათ პოლიციისათვის; ვისაც შეუძლია ვადახდა, თითონ მოაქვს, ვისაც არა აქვს, მე თითონვე ვეხმარები.

ბაბ. ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს თქვენი თავი მამაო ათანასე; იმიტომაც გვიყარხართ ყველას. (მწერდას) თვალში რომ ვისმეს ჩაუვარდეს თითს არ მოისვამს. (საერთო სიხუმე)

მწერ. ამ საწყალი კაცის გულიზა შეგაწუხეთ, მამაო ათანასე. იქნებ რამე ვუშველოთ.

ათან. კვი დავემართოს კარგი საქმე იქნება, თუ რამეს უშველით. მოგეხსენება საწყალი კაცებია.

ბაბ. შენი მუხლის ქირიმე მამაო, (ყუნდა დაიჭოქს) დამიხსენი ეს ბიჭი (მიუთითებს აქრუსზე).

ათან. ხომ იცი ბაბალო, ჩემთან შენ ბევრი თხოვნა არ გქირია, მე თუ რამე შემიძლია, შენ კი არა, ყველას მზათა ვარ დავებმარო. მაგრამ რა ვქნა რომ ერთი უსწავლელი და მოხუცებული მღვდელი ვარ.

გრ. საქარიქედელი

(გაგრძელება იქნება)

კრიტიკული შეცთომები

ალ. გარს. ჭავჭავაძე

(დასასრული. იხ. „თ. ლა ც.“ № 51).

მეორე ნაქლი ალ. ჭავჭავაძის ლექსებისა არის, რომ თათქმის ეგეჯა მისი ლექსი ომონიშებით არის თხზული—და სშირათ იმისთანა ომონიშებით, რომლის აზრის გასაკებათაც დიდი ფიქრი და კვლევა-ძიება საჭირო.

სახოგადოთ ომონიშები და ომოფონები, ე. ი. ერთნაირი გამოთქმის, ხოლო სხვა და სხვა აზრის სიტყვები, აღამაზებს ჰოეტური ნაწარმოებს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა იშვიათად არიან ნახმარი და როცა შეათხველს მათი აზრის გაგება დიდია არ უჭირს. ვის არ ახსოვს ომონიშებითვე თხზული ლექსი აკაკისა „დმართადმართა! ეს ლექსი სხვათა შორის იმიოაც იტაცებს შეითხველს, რომ სათამაშო, „ხელის-ხელსაგდამანები“ ომონიშები შეითხველს ადვილათ ესმის და აზრის გაგებას არ უშლის.

მართალია, შოთას ზოგჯერ ძნელათ გასაგება ომონიშები აქვს ნახმარი, მაგრამ ეს გარემოება არ შეადგენს „გეფხას ტუარსნისა“ დარსებას და ამისთან იშვიათადაც გვხვდება იქ

ომონიშები. ალ. ჭავჭავაძის ლექსებში კი ისინი მეტათ სშირათ გვხვდებიან.

ალ. ჭავჭავაძის ლექსებში სშირათ აგრეთვე ერთგვარი სიტყვები და გამოთქმები, რაცთა ეწინააღმდეგება სილამაზეს, ესთეტიკას.

აი მაგალითებიც:

„შენთან არს გული, მნათობო,
ვიყო სად გინა,
გინა ვის ვსჭვრეტდე, მნათობო,
შენ მიდგ თვალ წინა...
ოდეს დიმიდი, მნათობო,
განვიპობს ლაღთა,
მარგალიტ მჭვრეტულთ, მნათობო
ვეშუწვი თვალთა.“

ან კიდევ:

„შე შენ არ გეტყვი გეტრფი!
ჯით სხვანი გეტყვინს;
ბევრი გარწმუნებს: გეტრფი!
გულით კი სხვაგან რბიან.
მხოლოდ ეს ლექსი: გეტრფი!
ნეტა რას ძალსა მქონობს?
ცუდ არს; გეტრფი და გეტრფი,
თუ გულიც არ მამულობს,“
და სხვა.

მრავლჯერ აქვს ალ. ჭავჭავაძეს სხვა და სხვა ლექსში გა ეარებული სიტყვა ჰინდნი—წამების აღსანიშნავათ. რაც უნდა კარგი იყოს შედარება, მეტაფორა და საზოგადოთ ჰოეტური გამოთქმა, სშირათ თუ ისმარეთ იგი, ფასი დაეკარგება:

„და რა ტურფა ცაიფდექს, ადარა დირს არცა ჩირად.“

ალ. ჭავჭავაძე თავის ლექსებში უშეტესათ მშვენიერი სქესის მოტრფიალდა, მშვენიერი გძმბების—სიფარულის მომდერაღია. თუ საზოგადოთ ჰოეზია გარგანი სიმშვენიერით უნდა იყოს მომხიბლავი, ეტ სიმშვენიერე განსაკუთრებით იმ დარგება აუცალებელი, რამელიც მშვენიერებას უმდერის და უკაღობს. ნამდვილათ-კი ალ. ჭავჭავაძის ერთი ულ ლექსებში, რომელთა რიცხვიც 60-ზე მეტია, სულ ოთხი თუ ხუთი ლექსია იმისთანა, რომ გარეგნობათ მოგეწონათ: 1) „გაჭ, დრონი, დრონი, ნაქებნი მტკბარად“, 2) „ეღების კარი განათხუდისა“, 3) „სიფარულა, ძაღსა შენსა“, 4) „უშინი ქრბიან“, 5) „გმუნვის მახვილი გულს“ მსობია“.

სამონიშო

ამ ხუთ ლექსშიც არც ერთზე არ ითქმის, ეს ლექსი ურველი მხრით უნაკლულად. ამას შიშის სამ ლექსში ერთი და იგივე ტყეები სშირათ მი-
 თრდება: ამგვარი ლექსთწიგობა სშირათ აქვს ალ
 ჭავჭავაძეს—და სწორეთ ეს სშირი გაშუარება,
 რომ ესეთი ტყის ეწინააღმდეგება. ამასთანავე
 სოციალური ადგილად ძნელი განსაგებია და სა-
 შუალო შვითხვედრისათვის — გაუგებარად:

- 1) თუ შუა მას ჩემგან უტყვის სიმტკიცე,
 ვიბრძვებ რაჟიფს, შერების მამრდაზად.“
 („გადა, დრონია, დრონია“)
- 2) „ეი, ვინც არებთ თავისუფლებით,
 ნუ გტრფით ვარდთა გარშემოვლებით:
 მინახებთ გულისა ხლებით!
 და თუ არ მოჭკვდეთ უდროდ დღეებებით,
 იხილოთ განხინა ბედგრულისა“
 („გაღების კარი გაზაფხულისა“.)

სოცალ ლექსთწიგობის შესივად არის დარ-
 ლეკული:

„საუკუნოდ გინდ შერობილი,
 უწამლოდ ჭკვენსდეს კადილი“!
 („უწამნი ჭრბინ“).

აქ შიგველი ტყეები მაღალი შიარათისა და-
 წებულები, სოფლ მეორე—ღობლით.

ასეთი დარსებისა, — ჩემის აზრით, ალ ჭავ-
 ჭავაძის ლექსები—და ამიტომ მეტიმეტით
 გადაჭარბებულად მიმანია იმითი შეხედულება,
 რომელიც ფიქრობენ, რომ ალ ჭავჭავაძე შირ
 ველხარისხვანი მეტასნია, ტბილი მეტასნია,
 ისე რომ—

„იმისი ლექსი შებოი, ღხენით
 ხან სუფრაზედ მოჭურინდება,
 გულს ჩატკეკრის, ღაღობს, ხარობს,
 გამდერებს და ამდერდება.“

ამისთანა ლექსი მას ერთი აქვს—და ისიც,
 როგორც ზევით ნათქვამია, დიდი შოეტური დირ-
 სების არ არის, უბრალო საღხინო ჭანგია.

„ხან დონდება ნახ ქალსავით
 უიმედო სიუვარულით,
 ხან იფუთქებს ჭაბუკსავით
 და განდგენის სეუდს გულით,
 ხან, ბუნებში მიამაღული,
 ჭრბის მარტო ვით იადონი,
 შეჭეუფს სტრფოს გულსაკლავად,
 ტრფობის ისრით განწონი“.

ეს აზრიც გადაჭარბებულია, რადგან, რო-
 გორც ვნახეთ, ალ ჭავჭავაძის სამიჯნურთ ლე-
 კსები განსაკუთრებით თვისი გარეგანი ფორმით,
 არ არის ნახი და ტბილიმთვანი, როგორც
 ილიას გონია, და ამიტომაც „ტრფობის ისრი-
 თით“ ვერაფერს განწონავს.

ხან ჭრბის ვეღად, მარტოდ ვაღობს,
 უდაბნოში ვითა შიწირი,
 შეჭკვენსს შავბედს ქვეყნისსა,
 ქვეყნისსათვის ანატორი.“

ეს აზრი არ არის საფუძვლიანი, ვინაიდან
 „ქვეყნისთვის ანატორი“—ის ტრფილები ალ ჭავ-
 ვაძის ლექსებში სანოლით საძებარია და, სცა
 არის, ისიც აშკარა ანა ჩინს, თუ რისთვის
 ტირის მეტასნია...

ალ ჭავჭავაძის ლექსები ვერც საღხინო
 სმებით და ვერც სამიჯნურთ ჭანგებით ვერ შე-
 დრება გრ ობუღიანის ზოეზიით სავსე ლექ-
 სებს. ამა მოისმინეთ გრ ობუღიანის საღხინო
 სმები:

„სულით ერთნო, მალხინენო, აწ შეკრბით
 თასით, ჯამით უანწით, აზარფეშებო!
 ღხინის სუფრა მოჭვინეთ ვეგვილებო!
 ალაფერდა დასვით თარით ნაქებო!
 ეოფა ბუღბუღ ტბილის სმით ადუღენო!
 დიბლიბიტო დაჭკარ დაარაკუნეთ!“— და სსვ.
 მთელი ლექსი ასეთის ბოლომდე.

ან „იარაღი“ ში:

„ჩემო იარაღი, ნეტავი ოდეს
 ღხინით ადღსიღნი ვსს ეთ ველსა შიწანეს,
 ჩვენებურადა, ძველებურადა ვსვამდეთ ვიძანდეო:
 თარი-იარაღი“!

ჯეინის შიწადი შიშინით ტრცხლზედა დასტრი-
 ალებდეს,
 ენოსვა, დატკბარი მის სუნით, მადსა გავვი-
 დვიძებდეს!
 კახურის დვინით ადკილი აზარფეშცა ხელს
 გვეშურსს,
 მოთაღი, თეგზი, შიწანილი აგვიტრელებდეს წინ
 სუფრასს!“

ან რომელი სამიჯნურთ ლექსია ალ ჭავ-
 ვაძისა ისე გრძნობიერი და ნახი, როგორც
 გრ ობუღიანის „სადამო გამოსაღმებისა“, სა-
 დაც ანკარა წუაროსავით ჩუნხუობს ალტრეპული
 გრძნობა უანგარო სიუვარულისა და სადაც შვით-

სგელო ტკბებს იმ გვარი მომხმადგენი პოეზიით, როგორც არის მაგალითად, შემდეგი:

„შუამღის... მარტო ვისი ჭმუნვით... ჩემი ჩივილი ვის ესმის? და ურუგდა არე... მსოფლივ სმას ისმის ზოგჯერ გუშავის. მსოფლივ ჭსნანს, მთანი მდუმარედ აუუდებულან ცთამდის— და უასიბუგეს სსამოდ სკელა ვანსკვლავი დაჰნათის! წყაღნი მითით დაქანებულნი უფსკრულს აიარებებიან... თურგი ჭრბის, თურგი ჭდრდადებს, კლდენი ბანს ეუბნებიან!..“

გრ. ორბელიანი, ცხადია, შეუდარებლათ უფრო მაღლა დგას ად. ჭავჭავაძეზე თვისი ეროტაული ლექსებით, თუმცა ად. ჭავჭავაძეს ერთა-ოცათ მეტი აქვს ამ შინაარსის ლექსები, და აგრეთვე საღვინის სმებიანაც; ხოლო, რაც შეეხება „ჩვეუნიანთაგის ანტირეგულს. ამ მხრითაც ად. ჭავჭავაძე ვერ შეედრება ვერც ერთ ორბელიანს, კრიგელსა და ვანტანგს, თავის თანამედროვე მეგობრებს.

ამ სახით, ად. ჭავჭავაძე, ჩემის დრმა რწმენით, სსშუალო დარსების მკონსია, და არა „დიდებულა“ და „შეუდარებულა“, როგორც მას ზოგიერთი კრიტიკოსი უწოდებს, და მისი ლექსები თუ ლექმედი ვერ მიწვდომია - მკითხველის გულს, დღის შემდეგ კიდევ უფრო ნაკლებათ მიწვდება — სწორეთ იმიტომ, რომ მათი გარკვენი ფარმამდამე და ტანჩია და განვითარებულ სქენას ვერ დაკმაყოფილებს.

მძიმე ფარმამანი და ძეულათ განსტეები ნაწარმოები ფართო საზოგადოებისათვის მკვლარია, და თუ „ჩვეუნიანთაგისა“, ეს უძველესი დროის ნაწარმოებიც კი, ქართული ხალხისათვის არ მოჰყვარდა და არც მოჰყვდება, ამის მიზეზები მარტო ის კი არ არის, რომ ეს ზოგამათვისი შინაარსით „სიბრძნისა ერთი დასგა“, არამედ უმთავრესათ იმიტომ რომ მათი მშვენიერა შინაარსი საშუალო მკითხველისთვისაც განსტეება (თითო-ორ-ორი ბეჭდარაზნი სანაქა იქ, განსაკუთრებით ზოგამში, მხედველობაში მისაღები არ არის) სწორეთ იმიტომ არის, რომ შოთა რუსთაველის ზოგამს უგედასათვის „სადგეთა სდგეთად განსტონა“.

ჩემი შთაბეჭდილება

(ქართ. დრამ. საზ. კრება)

წარსულ კვირას ბ-ნ გ. ყურულის თ ვმჯდომარეობით მომხმადრი დრ. საზ. საზოგადო კრების გაგარტლებმა უტყუარი მაჩვენებელი ყყო იშისა, თუ ერთიმეორის უსაბუთო მიქომაცებით ჩვენ საზოგადოებრივი ცხოვრება როგორ უკან-უკან იწვევს. ამ დღეს ცალ მსრივ იღვა აღნიშნულ საზოგადოების გამგეობის ნამოქმედარის განმზღველი, — მეორე მსრივ კი — თვით გამგეობა და მისი დამცველები.

კრები: მდივანმა სე. ქვარიანმა წაიკითხა თუ არა წინა კრებას ოქმი, რომელიც უცვლელად დაამტკიცა კრებამ. ბ-ნი გ. გორდუზიანი შეეკითხა გამგეობას რა იზრუნა გამგეობამ მუდმივი ბინის შოვნისა და სათეატრო საქმის განსაწესრიგებლად.

რ. გაბაშვილმა აღნიშნა, რომ გამგეობის დაუდევრობით დაიწვა თეატრი, გამგეობა დამნაშავეა, რომ თუ ტრის აგების საქმე ვერ მოაწესრიგა, დასის შედგენას ჯეროვანი ყურადღება არ მიექცია და სხვა.

მბ. ხეხულოძემ გამგეობას უსაყვედურა: სრულიად საქართველოს ქართულ სცენის მოღვაწეთა ყრილობის დადგენილებათა ნაწილიც კი არ შეგისრულებიათო, სახელდობრ მსახიობთა მღების დროს ჯეროვანი ყურადღება, არ მიგიქცევიათ მათთვის სკოლა არ დაგვიარსებიათ, თითო წარმოდგენიდან ამ სკოლის სასარგებლოდ, სულ ცოტა, თითო მანეთის შეგროვებისთვის არ მიგიქცევიათ ყურადღება და სხ.

იოს. იმედაშვილმა უსაყვედურა გამგეობას, რომ მას, გამგეობას ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია: პიესათა სტილის შესწორებისათვის, წარმოდგენათა მხატვრულად მოწყობისათვის, საქირო რეპერტუარისა და დასის შედგენისათვის, რეჟისურისათვის და სხ.

ა. ახნაზაროვი კმაყოფილი არ ყყო გამგეობის მოქმედებისა იმ მხრივ, რომ ანგარიშში არა სანას გამგეობის მოქმედების შინაგანი მზარე და მოითხოვა — აღდგენილ იქმნეს სარგდაქციო კომისია პიესების გასასწორებლადო.

ი. ზარდალიაშვილმა მსახიობთა ახელით ორგვარი უკულმართობა აღნიშნა. ერთი ის, რომ გამგეობა მსახიობთ ძალიან გვიან იწვევს, ბოცა მსახიობნი დ ივანტე იან ხლომე, და მეორე ის, რომ წელს გამგეობამ რუქისორი ვერ მოგვიჩინა და უპატრონოთა ვაზთო.

ს. ტარუაშვილმა მო თხოვა — ხედმეტი ლაპარაკი შესწყდეს უკეთესი გამგეობის არჩევას შევუდგეთო.

ალ. ხმეტელაშვილს აზრით სანამ ბინა არ გვექნება, რაიმეს გაკეთება შეუძლებელია.

აკ. პაპავამ ხაზი გაუსვა სავროთო ჩვენი საზოგადოებისა და კეძოდ მსახიობების მოუშხადებლობას და. სხვათაშორის, აღნიშნა: გამგეობას ბრალსა სდებენ დასის უყოლობაში, მაგრამ ეს ბრალი გამგეობას არ უნდა ეღებოდეს. ამავე დროს: ყურადღებას არ აქცევენ იმ

სკოლა.

ციფრებს, რომელთ ანგარიში გამგეობას საზოგადოების სასარგებლოდ უწამოვებიაო.

ა. ქუმბაძის აზრით ერთ ორატორსაც არ უთქვამს აშკარად, თუ ვისა სდებენ ბრალსაო, და დაუმატა ისიც, რომ მინაქრის ოღენა მიზნებს ებლაუკებიან და გამგეობის გამტყუებებს იმითი სცილოდებნო.

ბ. რამიშვილი აცხადებს, გამგეობას დამცველები არ უნდ, რადგან გამგეობაში მთელ კავკასიაში ანტიქმული კრიმინალისტები (იგულისხმება ი. ბარათაშვილი და შ. მესხიშვილი) არიანო.

ი. გედევანაშვილმა აღნიშნა მსახიობთ უკულტურობა, რომ ერთხელ პირობის შეკერის შემდეგ თავის თავს ნებას აძლევენ და ვინც უფრო მეტ ჯამაგირ. მისცემს მერე იმასთან გადადიანო. წელს რეჟისორი წუწუნავა ჩვენთ ნ იყო გარიგებული და ახლა-კი ბაქოშია; ასე რომ ოციციალურად არც-კი ვიციო, თავი დავანება, თუ არა და თუ ჩვენ მოქმედებაში ნაკლსა ჰქვდავდა კინმე პრესით, ან კერძოდ რატომ არ შეგვიჩნა, რომ გავგვეწორებინაო.

შ. მესხიშვილის ვრცელ სიტყვს აზრი ის იყო, რომ ბრალმდებელთ მოთხოვნების ასრულება უსახრობისა და მრავალ დამბრკოლებელ მიზეზთა გამო ვერ შეგვეძლოო. მოლაპარაკეთ კი ისეთი არადერი მოუხზონათ, რომ მის გაკეთება შეგვეძლებოდეს და არ გავგვეკეთებინათო...

ლ. პაჩაკის დაბრუნების შემდეგ ბ-ნ გ. ყურულის წინადადებისამებრ, მიღებულ იქმნა (26-5) ოზნოლიუცია: „კრება კმაყოფილია გამგეობის პასუხგანმარტებით და გადადის იმ წინადადებ.ზე, რომელიც აღნიშნულია მოხსენების მეორე ნაწილში. (ამის შემდეგ კრება შესწყდა და შემდეგისათვის გადაიდო)

დ. ახალსენაძის დრამ. საზის

საქურდალდებოდ

ჩვენს გაზეთებში ამოვიკითხე, რომ ახალსენაძის დრამ. დასს წარმოდგენა გაუშინათაჲს, დაუდგავს თუთაყვის „მორე კაენი“. წარმოდგენას ურიცხვი ხალხი დასწრებია. ეს რომ წავიკითხე, მწუხარებით წამოვიძახე: ვაი, ჩვენი უნაქრანო პრავინციაჲ! ძმებო, სად ანის თქვენი შეკენება? დაუჯერო მკტი უნარი არა გაქეთ მხატვრულ ნაწარმოებათა შეჩვენებაში! ამისხენით დგთის გულისათვის, რას თქვამდებით, როცა „მორე კაენისთანა“ სისუყლით უმსახინძლდებით მაჟურბებდს? დააწვეთ თანამედროვე საუკუნის პრავინციებთანა და „მორე კაენისმდე“ ჩამოქვეითდით?! აი, ამასა ჰქვია, მე თუ შეიძლება, წინმსუდღეობა! ვინმე გურული.



წვრილი აზრები

საოპერო ამხანაგობა შესდგა ამხანაგობაში არიან: ქ-ნი კალანდაძე-ავასოვისა, ბ-ნი ავასოვი, კურბატოვი, აბგაროვი და სხ. ამხ. ამხადებს ოპერებს: „რიგალე“ „სტრავიატას“, „სვევლიელ დალაქს“, „დემონს“ და სხ. ამ ოპერებს ჯერ თბილისში წარმოადგინენ, შემდეგ ქუთაისში.

ნ. ბ. შარტიშვილი საოპერო დ.სის ამხანაგობა ლობტბარად იწვევს.

ქ. დოდუშვილი სთარგმნის ოპ. „ლაქმეს“, ოპერა ამ ორიოდ თვეში დაიდგმის.

შარტი. სინის-სამთნოვრ. საზის გამგეობამ პარასკევს, ქრისტეშობის 9, დეპუტატთა, საკრებულოში საგანგებო სხდომა გამართა, ნ. ბარათაშვილის ხსენის პარტისაგებლად, ექ. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. მისი განმარტების და თხოვნისამებრ დასწრე საზო-ბამ ფეხზე ადგომით პარტიე სცა ნ. ბარათაშვილის, თ. ყორღანის და ჰ. სენკევიჩის ხსენსა, ჩვენმა ახალგაზრდა წიგნულმა პ. ინგოროყვამ დღესა საყურადღებო მოხსენება წაიკითხა ქართული ლექსთწყობის და განსაკუთრებით ნ. ბარათაშვილის მოლექსეობისა თუ მის ლექსთა მუსიკალობის შესახებ. მომსენებელმა, სხვათაშორის, აღნიშნა, რომ ქართული ლექსთწყობა ს. ფორმები ერთ წერტილზე გაყინული და ახალ გზას არ ეძებს. ამ დარგში ნ. ბარათაშვილმა დიდი თავისებურება გამოიჩინა. ბ-ნი ინგოროყვა ამ საზის შესახებ უფრო ვრცელ შრომას ამხადებს. კამათში მონაწილეობა მიღეს: ს. შანშიაშვილმა, ს. გორგაძემ, გრ. რომაქიძემ, ექ. თაყაიშვილმა. კამათი ნაუცხვეი იყო, ინგოროყვას შრომა დიდი ყურადღების სდირსია.

ნ. ნიწიშვილი დასწერა ვრცელი მოთხრობა ქართველ ლიტერატურათა ცხოვრებიდან.

მოკვამალ წლის თეატრი და ცხოვრებაში, სხვათაშორის დაიბეჭდება 1) დიმიტრი ყიფიანის დღიურიდან „სულის განცდა“. ნინო ყიფიანის მიერ გამოკრეფილი; 2) ივ. გომართლის „ხალი დრამა“, კრიტიკული წერილები; 3) სოფრომ მჯაღობლიშვილის „ჩვენი ხალხისნები“, „სასულიერო მოღვაწენი“ და „ქართველ მწერალთ წერილები“, 4) ყიფიანის „ბრძოლა“ აკაკის „ბაშა-ანუკიდან“ გადმოკრეფილი პიესა 4 მოქ., 5) ყუვისპირელის—„შრომის სამეფო“, მოთხრობა მუშა ქალთა ცხოვრებიდან და მრ. სხ.

შუაწალ თეატრი და ცხოვრების ფონდის სასა-გებლოდ შემოიტანეს: 1) ჯულდა-თავრიზის ქრთველებმა 20 მ., 2) კ. ოღიშარიამ 3 მან., 3) არ. ნაღბანდოვმა—1 მან.

შარტიშვილი მთავრალთა პირველი კრება ვ. ქითავს თაოსნობით გაიმართა ქუთაისში ქრისტიანობისთვის 17. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ცახელი, მღიწად ია ეკალაძე კრებამ საჭიროდ სცნო ქართველ მწერალთა შეკავშირება შეთანხმებული მუშაობისათვის. აირჩიეს მ. ბოჭორიშვილი, ია ეკალაძე, ი. ნიკოლაიშვილი, გ. ფარქოსაძე, მ. ბოჭორიშვილი, ვ. ქითავა წესდებისშესამუშავებლად.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

იზიარება და მოკლე ხანში გამოცემა

უცხო სიტყვათა ლექსიონი შედგენილი იოსებ იმ. დაწილის მიერ, მეორედ შეესწავლულ-შესწორებული. მოვარაყებელი ყდით, ხელის მოწერით ღირს 2 მ. 50 კ. გაწერვა კიდევ შეიძლება: Тифლისь. ред. „Театри да Цховრება“—Иос Имедашвили.

(10—1)

თეატრი და ცხოვრება (დაწვრილებით ის. შემდეგ 88.)

თანამედროვე აზრი

გაზეთი ღირს რეკორდობილისში, ისე პრეზიდენციაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან, სამი თვით 4 მან. 20 კაპ., ერთი თვით 1 მან. 40 კაპ.

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის ვაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифლისь, почтовый ящик № 199, Властю Малакиевичу Божихадзе. თბილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში“, ოლღას ქუჩა, № 6.

„სახალხო ფურცელი“

სურათებიან დამატებით ღირს წელიწადში 15 მან. ნახევარი წლით 8 მან. სამი თვით 5 მან. წლიური ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად:

ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 აპრილისათვის 4 მ. და 1 აგვისტოსთვის 4 მან. კანტორა ხელის მოწერისათვის ღიაა დღის 9 საათიდან ნაწუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. რედაქციის მისამართი: ტფილისი, „სახალხო ფურცლის“ რედაქცია. სახალხის ქუჩა № 6 Тифლისь, редакция „Сахалхо Пурцели“ поч. ящ 190

„ეშვაკის მათემატიკა“

ი. ე. მორისტილი ავტორალი. ფასი მთელი წლით: 7 მან. ნახევარი წლით 4 მ. სამი თვით 2 მან. თვეში 70 კ. ვისაც უნდა ავტორალი 1 იანვრიდან მიიღოს, ფული ვხლავე უნდა გამოგზავნოს შემდეგის მისამართით: თბილისი, ფოსტის ყუთი № 96, სილ. თავართქილაძეს

ყაველ ლღიური საპოლიტიკო. საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

„საარტიველო“

ეოგელკვირეულ სურათებიან დამატებით. გაზეთი არის ეროვნულ დემოკრატიულ მიმართულებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომურს ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობის, სასოფლო მრეწველობის, სასოფლო მეურნეობის წარმატებას, საპროფესიო და სატექნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთს საკუთარი კორესპონდენტები ჰყავს საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებსა და სოფლებში და აგრეთვე პეტროგრადსა და მოსკოვში

გაზეთის ფასი: მთელი წლით — 15 მ ნახევარის წლით 9 მ. სამის თვით 5 მ. ერთის თვით ქალაქში 1 მ, 80 კ. ქალაქ გარეთიდან გაზეთის გაწერა ერთის თვით ფოსტის საშუალებით არ მიიღება. არა წლიურ ხელის მომწერთათვის გაზეთი თვის პირველ რიცხვიდან იქნება ნახევარიშევი. წლიურ ხელის მომწერთათვის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს 7 მან., პირველ მარტისათვის 5 მან. და პირველ ივნისისათვის 3 მან. ვისაც სურს გაზეთის გაწერა წლიურად, ეს უნდა მოახსენიოს პირველსავე მოწერის დროს. რედაქციის მისამართი: თბილისი, მასკოვის ქ. № 4. კანტორა დია: დღი 9—თვ ს. მდე სდამ. 5—7-მდე. რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი. გამომც. აშხ. „საქართველო“

ახალი კლუბი

ორშაბათს კრი-სტეშ. 26 1916 ქართ. დრამ. საზ-ის დასის მიერ. გ. გამურგლიძის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება დ. ერისთავის

„ს ა მ შ ო ბ ლ ო“

მონაწილეობენ: ქქანი: ტ. აბაშიძე, ნ. და, ვითაშვილი, მ. ქილაჯიშვილი, ბ-ნნი: ვ. გამყრელიძე, ხარღალიშვილი, გ. იშხნელი, გ. ფრონის-პირელი, ი. თარალაშვილი, ნ. ჩაგუნავა. და სხ. დასაწყ. სალ. 8 ს. ფასი: 1-70 კ. 20 კ. დერეჟისორი * *. ადმინისტრ. დრამ. საზ-ისა

V წ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის V წ

სათეატრო სალიტერატურო სამახტვრო წლიური ხელის მოწერა მიიღება
კვირეული შურნალი ორ კვირისა

თეატრი და სსოპრეზა

(წელიწადი შესუთე)
გამოცემა სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით
შურნალი პარტიამთ გარეშად, პროგრამული მიზანთქლვასა

შურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამახარებელნი და ახალგაზრდანი
ჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, მხატვრები

შურნალის ფასი ორივე პრემიით წელიწადში ღირს 8 მან. ნახევრის წლით.
4 მან. 50 კაბ. თითო ნომერი ეყვლება 15 კაბ ფელას შემტანა ნაწილ-ნაწილად
შეიძლება: ხელის მოწერის ღირს 3 მ., 1 მთავადე—3 მ. 1-ელ კენისთვემდე 2
ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, „სარაპის“ სტამბის პანტოგრაფი მალათვის კუნ-
ძული, № 1, გარანტის მეორე ხიდის ყუბში. ქალაქ გარეთ ხელის-მოწერათ ფული უნდა
გამოგზავნონ შემდეგის მსაზრთით: Тифлис. отд. „Тради да Чухачева“ Искать Иса-
евова რედაქტორ გამომცემელი ანდა იმედაშვილისა

აკაკის „ნაკვეთნი და ბრძნული სი-
ბრძნობი“ ავტორის სურათებით
ფასიმილეთი და ბიოგრაფიით.

ჭ. ლომთათიძის „რამული
ანთანი“
რის სურათით, ფასიმილეთი და ბიოგრაფიით.

„განათლება“ კუჩუნიანი-სეკიძის
კანტონა
ქ. თბილისში ოლღას ქუჩა № 6.

კუჩუნიანი-სეკიძის: „თეატრი და ცხოვ-
რება“, „თახ. აზრი“, უკუ. მათრახი“, „საქარ-
თველო“ „Тифлисский Листок“, „Рус-
ское Соло“, „ჭორბანი“, კედლის კაღინდ-
ები და სხ და სხ ქართული წიგნები. ფელი
რა წერილები უნდა გამოგზავნოს შემდეგთა ჯდ-
რესით: Тифлисы, почтовый ящик № 96,
С. Таварткиладзе.

ხარუხის საზო- გალო კლუბი

(მთხილის პროსპექტზე, № 163)
ერთი კვირის პროგრამა ქრისტეშ 25—31.
ორზაბათი—სინემატოგ. სიმეზ. ორკე.
სამზაბათი—სინემატოგრაფი: სიმეზ. ორკე.
ოთხზაბათი—ქართული სიმ. ორკესტ.
ხუთზაბათი—სინემატოგ. სიმეზ. ორკესტრი
პარასკევი—სიმეზიანი ორკ. წარმოდგენა
შაბათი—სიმეზიანი ორკესტრი.
აშინა—სიმეზიანი ორკესტრის კონცერტი.
შესახველელი ფასი: ქალეზა და სტუ-
დენტები—2 მ. კ. მამაკაცი 50 კ.
დახაწყისი: წარმოდგენა—კონცერტებისა
საღ 8 ნახ. ს.—სინემატოგრაფი—9 ს.

ახალი კლუბი

1 კვირის პროგრამა
ქრისტე 25—31
კვირა—რუსული წარმოდგენა. ბილეთი 50—30 კ.
ორზაბათი—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.—50 კ.
სამზაბათი—საოჯახო საღამო
ოთხზაბათი—სინემატოგრაფი. სიმეზ. ორკ.
ხუთზაბათი—ქართ. წარმ. ბილეთები 50—30 კაბ.
პარასკევი—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.—30 კ.ღი.
შაბ.—რიადნოვის საღამო
კვირა—რუსულ წარმოდგენა. ბილეთ. 5—30 კ.
დახაწყისი: კონცერტებისა საღამ. მ. სიმ. ორკ.
წარმოდგენა და სინემატოგრაფი. საღ. 8 1/2 ს.
შესახ. ფასი მანდილოსნი. 50 კ. მამაკაცი. 1 მ.

